

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკით
სარგებლობის წესები**

დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე ოქმი #3

22.01.2018

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #1

22. 01.18

მოქმედების სფერო	2
ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება	2
საბიბლიოთეკო რესურსები	3
ბიბლიოთეკის ფიზიკურ რესურსებზე წვდომა	4
ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა	5
საბიბლიოთეკო სერვისები	5
ბიბლიოთეკათშორისი სერვისით სარგებლობა	6
საბიბლიოთეკო ერთეულების გაგანის წესი	6
საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების წესი და ვადების კონტროლი	7
გატანილი ერთეულის დაბრუნების ვადის გადაცილება და დაკარგვა	7
სხვა დამატებითი სერვისები	8
ბიბლიოთეკაში ქცევის წესები	8
სანქციები ქცევის წესების დარღვევისას	9
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება-დამატებების შესახებ	10

1. მოქმედების სფერო

- 1.1. წინამდებარე წესები არეგულირებს თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში გაწვევრიანების, საბიბლიოთეკო ერთეულების დაჯავშნის, გაგანის, სარგებლობის და დაბრუნებათან დაკავშირებულ საკითხებსა და ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს;
- 1.2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები ეფუძნება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებას, ეთიკის კოდექსს და ბიბლიოთეკის წესდებას.

2. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება

- 2.1. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია გაწვევრიანების შემდეგ;
- 2.2. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტების გაწვევრიანება ხდება ავტომატურად, უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე ელექტრონული მონაცემების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სტუდენტის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, კურსი და ფაკულტეტი.
- 2.3. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომლების, აკადემიური პერსონალის, კონსერვატორიის მიერ მოწვეული პირების რეგისტრაცია ხდება როგორც სასწავლო დეპარტამენტის მიერ გადმოცემული ელექტრონული მონაცემების საფუძველზე ასევე, სხვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) საფუძველზე;
- 2.4. სხვა პირების (სტუმრების) რეგისტრირება ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) საფუძველზე;
- 2.5. იმ შემთხვევაში თუ მკითხველი იცვლის სახელს, გვარს ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის კონსერვატორიაში ჩაბარების შემდეგ, იგი ვალდებულია შეაგყობინოს

ბიბლიოთეკას სახელის, გვარის და საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში.

3. საბიბლიოთეკო რესურსები

- 3.1. თბილისის ვ. სარჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა მოიცავს ერთ სამკითხველო დარბაზს, სამ საცავს, ერთ აუდიო ბიბლიოთეკას ე.წ. „ფონოტეკა“. შეხვედრების ოთახს/სამუშაო ოთახს ჯგუფური დავალებისთვის.
- 3.2. საბიბლიოთეკო რესურსები შედგება სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომი რესურსებისაგან: წიგნადი ფონდი, ნოტები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო, მხატვრული, პერიოდული, საცნობარო გამოცემები, წლიური შრომები, CD და DVD, რარიტეტული გამოცემები, ურტექსტები და სხვა.
- 3.3. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს შეუძლით ისარგებლონ ბიბლიოთეკის კოლექციებით, მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკით, აუდიო ბიბლიოთეკით ე.წ. „ფონოტეკა“. და ელექტრონული სამეცნიერო, მუსიკალური ბაზებით;
- 3.4. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის მკითხველის მონაცემები უნდა იყოს სასწავლო დეპარტამენტის მიერ გადმოცემულ სიაში; ან მკითხველმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ გაცემული სტუდენტური ბილეთი;
- 3.5. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის მკითხველი ვალდებულია გაეცნოს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს;

4. ბიბლიოთეკის ფიზიკურ რესურსებზე წვდომა

- 4.1. მკითხველს შესაძლებლობა აქვს სასურველი მასალა მოიძიოს ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში. ელკატალოგის ბმული მითითებულია კონსერვატორიის ვებგვერდზე,
- 4.2. მკითხველს ასევე საშუალება აქვს ისარგებლოს ელკატალოგში ძიების გილით, რომელიც მითითებულია კონსერვატორიის ვებგვერდზე;
- 4.3. მკითხველს საშუალება აქვს სასურველი რესურსის არსებობა დაამუხსგოს ბიბლიოთეკართან ან ისარგებლოს სერვისით „შეეკითხე ბიბლიოთეკარს“;

- 4.4. მკითხველს საშუალება აქვს მისთვის სასურველი ერთეული შეუკვეთოს როგორც პირადად, ასევე ელექტრონულად, კონსერვატორიის ვებგვერდზე არსებული სპეციალური ფორმის შევსების საფუძველზე. არსებული ფორმა არის ორენოვანი ქართული და ინგლისური უცხოელი სტუდენტებისთვის;
- 4.5. მკითხველს საშუალება აქვს ისარგებლოს „ბიბლიოთეკათმორისი მომსახურების“ სერვისით;
- 4.6. მკითხველს შესაძლებლობა აქვს მისთვის სასურველი ერთეული დაჯავშნოს წინასწარ. ერთეული ინახება მკითხველის მიერ ბიბლიოთეკართან კონსულტაციის შემდეგ არაუმეტეს 3 (სამი) დღის განმავლობაში, შემდეგ კი კვლავ ბრუნდება აქტიურ ფონდში. დაჯავშნილ საბიბლიოთეკო ერთეულზე სხვა მკითხველის მხრიდან მოთხოვნის გაჩენის შემთხვევაში, ჯავშანი უქმდება 2 (ორი) დღის შემდეგ;
- 4.7. წიგნის დაჯავშნისას მკითხველი შეგყობინებას იღებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- 4.8. საბიბლიოთეკო ერთეულის შეკვეთის შემდეგ, ბიბლიოთეკარი აწვდის მკითხველს შემდეგ ინფორმაციას, ხელმისაწვდომია თუ არა მისთვის საინტერესო ერთეული ბიბლიოთეკაში, შეუძლია თუ არა სახლში გატანა და რა ვადით; თუ ის არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, როგორ ისარგებლოს ბიბლიოთეკათმორისი მომსახურებით ან სხვა რა ალტერნატიული მასალის გამოყენება შეუძლია;

5. ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა

- 5.1. კონსერვატორიის ელბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ კონსერვატორიის შიგნით. გარე წვდომა დროებით შეზღუდულია.

6. საბიბლიოთეკო სერვისები

- 6.1. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს შემდეგი საბიბლიოთეკო სერვისებით: ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, აუდიო ბიბლიოთეკა(ფონოტეკა), წიგნების, ნოტების, ჟურნალების გატანა, ელექტრონული შეკვეთა, ბიბლიოთეკათმორისი მომსახურება, შეეკითხე ბიბლიოთეკარს, ასლის გადაღება.
- 6.2. ელექტრონული კატალოგი- კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში 2012 წლიდან დაწარმოებული გაერთიანებული საბიბლიოთეკო სისტემა ILS Evergreen-ი. ელექტრონული კატალოგის ბმული მითითებულია კონსერვატორიის ოფიციალურ

ვებგვერდზე. აქვე განთავსებულია კატალოგში ძიების გიდი. ელექტრონულ კატალოგზე წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან.

- 6.3. ელექტრონული ბიბლიოთეკა- კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში 2015 წლიდან დანერგიალია ელბიბლიოთეკის სისტემა DSPACE. სისტემაში არსებულ რესურსებზე წვდომა დაფუძნებულია კონსერვატორიის IP მისამართზე. ამიგომ აქ განთავსებული მასალების ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კონსერვატორიის შიგნით.
- 6.4. აუდიო ბიბლიოთეკა (ფონოგრაფი). კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ნაწილია აუდიო ბიბლიოთეკა ე.წ. ფონოგრაფი. ბიბლიოთეკაში დაცულია ფირფიტები, CD და DVD მასალა. აუდიო ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით. სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ადგილზე. CD და DVD მასალის გაგანა შეუძლებელია. გამონაკლისის გარდა (იხ. პუნქტი 7.6)
- 6.5. შეეკითხე ბიბლიოთეკარს-მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ (მუშაობის გრაფიკი, რესურსების მისაწვდომობა, მომსახურების სერვისი, გაგანის ვადები და ა.შ.) ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად მიმართოს ბიბლიოთეკას, როგორც პირადად, ისე ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით;
- 6.6. მკითხველი მისთვის საინტერესო ინფორმაციას მიიღებს 3 სამუშაო დღის ვადაში.
- 6.7. დაჯავშნის სერვისით სარგებლობისთვის გაეცანით **თავი 4-ის** შემდეგ პუნქტებს **4.4, 4.5, 4.6, 4.7, 4.8**

7. ბიბლიოთეკათმორისი სერვისით სარგებლობა

- 7.1. ბიბლიოთეკათმორისი სერვისი უზრუნველყოფს მკითხველს ისეთი მასალით, რომელიც კონსერვატორიის ბიბლიოთეკის კოლექციაში არ მოიპოვება;
- 7.2. ბიბლიოთეკათმორისი სერვისის ფარგლებში, თბილისის ე.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია თანამშრომლებს შემდეგ ბიბლიოთეკებთან: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, (თანამშრომლობის მემორანდუმი # 83), საპატრიარქოს ბიბლიოთეკა.
- 7.3. თბილისის ე.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამოგადოებას, შესაძლებლობა აქვთ გარკვეული კატეგორიის წიგნები და ნოტები, გაიგანონ ბიბლიოთეკიდან 10 სამუშაო დღის ვადით, ნაწილით კი ისარგებლონ ადგილზე, სამკითხველო დარბაზში;
- 7.4. ბიბლიოთეკათმორისო სერვისით სარგებლობისთვის მკითხველი ავსებს წიგნის შეკვეთის ბარათს ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით და აგზავნის/ტოვებს ბიბლიოთეკის შესაბამის განყოფილებაში;
- 7.5. მკითხველი, ბიბლიოთეკათმორისი სერვისის ფარგლებში შეკვეთილი წიგნის ხელმისაწვდომობაზე ინფორმაციას და შესაბამის მასალას იღებს არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადაში;
- 7.6. მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკათმორისი სერვისის ფარგლებში ერთდროულად შეუკვეთოს არაუმეტეს **3 წიგნი ან ნოტი**;
- 7.7. მკითხველისთვის გამოწერილი ლიტერატურა ინახება ინფორმაციის მიღებიდან **2 დღის** განმავლობაში.

8. საბიბლიოთეკო ერთეულების გაგანის წესი

- 8.1. საბიბლიოთეკო ერთეულის გაგანა ან დარბაზში სარგებლობა დამოკიდებულია, ერთეულის რაოდენობაზე, ტიპზე, და მოთხოვნის სიხშირეზე;
- 8.2. ნაბეჭდი ერთეული, რომელიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, გამონაკლისის გარდა (იხ. პუნქტი 8.3.), ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა; ასეთი რესურსით სარგებლობა მკითხველს შეუძლია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;
- 8.3. გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ ისეთ საბიბლიოთეკო ერთეულებზე რომელიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი და არ არის მასზე მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში მკითხველმა შესაძლოა ისარგებლოს გაგანის უფლებით, მხოლოდ 7 დღე;
- 8.4. ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ნოტების გაგანით შეიძლება ისარგებლონ, მხოლოდ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და თანამშრომლებმა;
- 8.5. ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა გამონაკლისის გარდა (იხ. პუნქტი 8.6.), შემდეგი ერთეულები: რარიტეტული გამოცემები, პერიოდული გამოცემები, ხელნაწერი შრომები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ვიდეო და აუდიო მასალა (CD, DVD);
- 8.6. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ წერილობით მომართვის საფუძველზე,
- 8.7. ბიბლიოთეკაში საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში შემოსული რესურსები გაიცემა გრანტის მფლობელზე სამი თვიდან ერთ წლამდე ვადით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

9. საბიბლიოთეკო ერთეულის დაბრუნების წესი და ვადების კონტროლი

- 9.1. მკითხველი ვალდებულია გაგანილი ერთეული დააბრუნოს მითითებულ ვადაში;
- 9.2. სახელმძღვანელო (იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკაში არის საკმარისი რაოდენობა) - 2 კვირიდან მაქსიმუმ 1 სემესტრი;
- 9.3. ნოტი - (იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკაში არის საკმარისი რაოდენობა) - 2 კვირიდან მაქსიმუმ 1 სემესტრი;
- 9.4. მკითხველს შეუძლია გადალოს გაგანილი წიგნის დაბრუნების ვადა, როგორც პირადად, ასევე ელ.ფოსტის საშუალებით, ბიბლიოთეკართან შეთანხმებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ წიგნზე არ არის მოთხოვნა.
- 9.5. თუ მკითხველი ობიექტური მიზეზების გამო (მაგ: ავადმყოფობა, ქვეყანაში არ ყოფნა და სხვ.) ვერ აბრუნებს გაგანილ მასალას წინასწარ განსაზღვრულ დროში, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში მასალით სარგებლობის ვადა ჩაითვლება დარღვეულად;
- 9.6. ბიბლიოთეკიდან გაგანილი ერთეულების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს ჯამში (ნოტი და წიგნი ერთად);
- 9.7. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევაში;

10. გაგანილი ერთეულის დაბრუნების ვადის გადაცილება და დაკარგვა

- 10.1. მკითხველი ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისგან გაფრთხილებას იღებს: წიგნის დაბრუნების ვადის გასვლის გამო, ვადაგადაცილებიდან პირველი ერთი კვირის განმავლობაში;
- 10.2. ასევე იღებს გაფრთხილებას ერთეულის ვადაგადაცილებისა და დაკარგვის შემთხვევაში ქცევის წესების დარღვევისას დაწესებული სანქციების შესახებ;
- 10.3. წიგნის დაბრუნების ვადის გასვლიდან 14 დღის შემდეგ, მკითხველი ველარ შეძლებს ბიბლიოთეკიდან ერთეულის გაგანას;
- 10.4. წიგნის ან ნოტის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია ჩაანაცვლოს იმავე დასახელების წიგნით ან ნოტით;
- 10.5. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია გადაწყვეტს, რომ დაკარგული ერთეულის ჩაანაცვლება შესაძლებელია სხვა სასწავლო პროცესისთვის საჭირო ერთეულით;
- 10.6. დიპლომის ასაღებად სტუდენტი სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად წარადგენს ე.წ. „შემოვლით ბარათს“, რომელიც დაადასტურებს, რომ მას არ აქვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დავალიანება. კონსერვატორიის ბიბლიოთეკის დავალიანების მქონე სტუდენტზე არ გაიცემა დიპლომი;
- 10.7. წიგნის ან ნოტის დაბრუნების ვადის გადაცილების შესახებ შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს მკითხველს დაკარგული ვალდებულებებისგან.

11. სხვა დამატებითი სერვისები

- 11.1. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამოგალოებას შეუძლია ბიბლიოთეკაში უფასოდ ისარგებლოს კომპიუტერებით და ინტერნეტით;
- 11.2. ასევე ხელმისაწვდომია ასლის გადაღების და მასალის ამობეჭვდის სერვისი. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს საავტორო უფლებების დაცვის ინსტრუქციებისა და შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, სხვადასხვა სასწავლო, კვლევითი და მხატვრული ლიტერატურის ასლის გადაღებისა და ამობეჭვდის სერვისით;
- 11.3. ასლის გადაღებისა და მასალის ამობეჭვდის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია წინასწარ შეკვეთის საფუძველზე, როგორც პირადად, ასევე ონლიან რეჟიმში;
- 11.4. წინასწარი შეკვეთისას, მომხმარებელი მასალის ასლს ან/და ამობეჭვილ ვერსიას იღებს არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში.

12. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

- 12.1. მკითხველი ვალდებულია დაიცვას თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- 12.2. გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და დაიცვას ის;
- 12.3. გაგანამდე კარგად შეამოწმოს ერთეულები, ხომ არ აქვს რამე დაზიანება, ან ხომ არ აკლია ფურცლები;
- 12.4. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკარს;
- 12.5. გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- 12.6. აუღიო ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის მიმართოს ბიბლიოთეკარს;
- 12.7. შეხვედრების/ჯგუფური მუშაობის ოთახის გამოყენებისთვის ან წინასწარ დაჯავშნისთვის მიმართოს ბიბლიოთეკარს;
- 12.8. მკითხველი ვალდებულია პატივი სცეს როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასევე სხვა მომხმარებლის უფლებებს;
- 12.9. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე მკითხველი ვალდებულია: გადაიყვანოს მობილური ტელეფონი უხმო რეჟიმზე; დაიცვას სიჩუმე; ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;
- 12.10. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შემდეგ ჩააბაროს ბიბლიოთეკარს ან დატოვოს მაგიდაზე ღია წვდომაში არსებული ერთეულები;
- 12.11. მკითხველს ეკრძალება ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა რესურსის, ბიბლიოთეკარის მიერ სპეციალური ჩანაწერის გაკეთების გარეშე, თვითნებურად გაგანა;
- 12.12. მკითხველს ეკრძალება ბიბლიოთეკაში წიგნის ან სხვა რესურსის თვითნებურად დატოვება ბიბლიოთეკარის მიერ სპეციალური ჩანაწერის გაკეთების გარეშე;
- 12.13. ბიბლიოთეკაში დაუშვებელია საკვები პროდუქტების შეტანა, გარდა ბოთლში ჩამოსხმული წყლისა და სხვა მინერალური სასმელებისა;

13. სანქციები ქცევის წესების დარღვევისას

- 13.1. მკითხველის მიერ თანამშრომლის ან ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებლის შეურაცხყოფისას, მკითხველს ეკისრება კონსერვატორიის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი;

- 13.2. მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსისა და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ბრალეულობის დადგენისას მკითხველს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა და ზარალის სრული ანაზღაურება;
- 13.3. მკითხველის მიერ სამკითხველო დარბაზში სიჩუმის დარღვევისას (ხმამაღალი საუბარი, მობილურის ზარი და ა.შ.) მკითხველი ბიბლიოთეკარისგან იღებს სიგყვიერ გაფრთხილებას, მსგავსი დარღვევის ორჯერ განმეორების შემთხვევაში ტოვებს სამკითხველო დარბაზს.
- 13.4. მკითხველის მიერ საბიბლიოთეკო რესურსის ბიბლიოთეკიდან თვითნებურად გატანისას, მკითხველს ეკისრება კონსერვატორიის შინაგანწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

14. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება-დამატებების შესახებ

- 14.1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება-დამატებების შეტანა ხორციელდება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში (მათ შორის ბიბლიოთეკაში) მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.